


# ლიტერატურული განები

№9 (241) 10 - 23 მაისი 2019

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ბესიკ ხარანაული

## ღიღი სმა

ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან

ჩხერიძათ გუგუას ბაგრატას,  
მთელ ბუღნიაურთ საკვეხარს,  
სამჯერ მოქმედს დიდი სმისა.

და

ბიჩინაგას,  
მეფე ერეკლე II-ის შვილს —  
არ ვი, ზენბაცალიგორელი,

არ ვი, ქვენბაცალიგორელი ქალისგან,  
რომელიც ისეთი ფეროვნებისა იყო (ალი-ვარდისა),  
რომ ყელში ჩამდინარი წყალი მოუჩანდა.  
და, ომარ თურმანაულს — ფშაველს,  
უცხო მიწაზე გადახვენილს,  
რომელთანაც ერთხელ ცოდვები გავაზიარე.

### შესავალი

მეტაპოეტური ნაწერი,  
სულუქცევრად შესასმელი და ერთახმით წასაკითხი

სასმელი თუ არ გვექნა,  
ან მოყვარეს რითი დავხვდეთ,  
ან მტერი რითი შემოვირიგოთ.

აბა, წავიდა დიდი სმა!  
მტრები ერთად დასხდნენ,  
მოყვრები ერთად.  
მტრები შერიგდებიან,  
მოყვრები ამტერდებიან...  
ესე მოუდის დიდ სმას,  
რომ იყოს წრებრუნვა.

ოღონდ არ გვინდა თავიდანვე ზიდილი, ჯერ თვალებით ვჩევიროთ ერთ-მანეთი.

მოელი თუ ურევს, ნანილებმა არ უნდა შეიტყონ, ნანილებში თუ კოჭლებია, მთელმა დაიდუმოს. დუმილი და ხმაური ავსებს სიცოცხლეს, აბა, არ იყოს რომელიმე! წრებრუნვა არ იქნებოდა.

ბრუნვა და ტრიალი დედამინის გამოცდილებიდან აქვს ადამიანს შერჭობილი, შენიჭებული, ნიჭად მიღებული.

დუმილში და ხმაურში იდგმება კაცის თვალთმაქცობა — თავზე ხელის გადასმისთანავე ორნაირი პირის კალაპოტით გამოდის სცენაზე. უნდა, ერთია — უნდა, მეორე. ესეც დედამინის ბუნებისგანა აქვს ადამიანს ნიჭად შერჭობილი.

თუ არ გჯერათ ადამიანის დედამიწობა და დედამიწის სამყაროობა, გამომყევით მე ჩემი შობისკენ და იხილავთ სამყაროს შობას. ასევე: იარეთ ჩემთან ერთად, იცხოვრეთ ჩემთან ერთად და სამყაროს ბუნებას გაიგებთ. გაიგებთ, როგორ ვერაგია: ორი დიდი პლანეტა გასაზრდელად შუაში ჩაინვენს ერთ მცირეს და ჰყავთ ფერებაში, მაგრამ, ან გვერდს შეიცვლიან, ან ნაიჩეუბებენ და ჭყლეტენ საბრალო მცირეს. ბევრი საერთო განაწესია სამყაროს სხეულებში: ერთნაირები შორს უნდა იყვნენ ერთმანეთისგან, ასევე ნიჭებიც...

ადამიანი უუმცირესი ნაწილაკია, მაგრამ მასში სამყარო თავისი ბუნების საიდუმლოს ინახავს. ადამიანიც ინახავს თავს მის მიერ შექმნილ საგანში და თავიც მოსწონს, როგორც მე ვარ მადლიერი ამ მოზრის ფარისფერი ლეპტოპის საბძლისა, სადაც ვყრი და ვყრი კარგა გამომშრალ ნათიბ-ნაწერს და ვერ ვასებ ცასავით.

სამყაროს მიხედვით, ადამიანის განმსაზღვრელიც წესრიგია. ის ულაგებს ქაოსს შიგნით და გარეთ, ისაა მომხიბულელი და თვალში საცემი და კიდევ რაიმე ახალი — პატრონის რაობის მიხედვით — რაც ისევ და ისევ სამყაროს წაეძიგნება — ახირება, სხვანაირი ხედვა, სიელმე... ბევრს ზღაპრის ფარგაზია აქვს, ვითომ სამყაროში იყოს ვყელაფრის დედანი, ადამიანი კი იმის ასლს იღებდეს. ამიტომაც, ჯერ მთვრალი მინისმზომელი დაივლის ადამიანს, რომ დიდად მოაჩვენოს თავისი სიმცირე, მერე კი სამყაროდან მოუვა ფხიზელი და ჭკუაზე მოიყვანს. ადამიანს ორივესგან სარგებლობა აქვს — ჭკუისგანაც და უჭკუობისგანაც.

მოელი ცხოვრება ვცდილობ, შევინარჩუნო პირველყოფილი უმეცრება, რომ მოქანავე მიწაზე კი არ ვიდგე, არამედ მყარზე.

ყველა მწვერვალი ვაკდება, დალმა-დალმა დაემართება, თავისი წესით.

ყველა რიტუალი ჯერ ხუნდება, მერე იცრიცება, მერე ნაკუნდება და ვინცგინდა უბირი ჩაიგდებს ხელში.

კაცმა უნდა იცოდეს, რომ ცუდი აუცილებლად კარგზე შეტრიალდება. ერთზე ყოფნა არაფერს უხარის.

ჩემი წერის ამტეს წიგნებს რომ ვუყურებ, მიხარია, რომ შეუცვლელ-შეუკლებელი დავტოვე ყველა და თან არ მიმაქვს. ჩემმა თავმაც მომაგო პატივი და საუკუნოვანი გაბმული სმებით ამირია იმის ანგარიში, თუ რამდენი წანები ვაივაგლახი უნდა დაფქვას კაცმა წიგნის წისქვილში, რომ ნაწერი გამოუვიდეს და თამამად მოუწოდოს ხალხს:

დიდი ლუდი ვქენ,  
და, ვისაც გწადისთ,  
მეედით!

ანუ: აიგდე ნაწერი!..  
ჭეშმარიტება არაფერსა სძენს.

საბუნა

გაცნობისას ცისფერი მზერა შემომანათა და მკერდში მფრინავი ბურთულა ჩამისახლა. ლამაზი სახელი — საბინა — თითქოს სახეზე ენერა.

მეორე დღეს, როდესაც კაფედან გამოვედით, მანქანით გასეირნება შევთავგაზე. ჩემმა ძველმა „მოსკვიჩმა“ ქალაქი მოგვა-ტარა, შემდეგ ზღვისპირას, შუქურას სიახ-ლოვეს აღმოგჩნდით, უკაცრიელ სანა-პიროზე. ზედ ზღვას მივაყენე მანქანა. ცოტა ხანში მზე ზღვაში ჩაეჭვა, დაღამდა. ზღვა მთვარის შუქზე აზიმზიმდა.

ივლისი იდგა. ზღვასთან, რა თქმა უნდა,  
ნაკლებად ცხელოდა.

მანქანის მინები ბოლომდე ჩამოვწიო და  
საბინას ნაზი, ბავშვური ხელი ხელისგულ-  
ში მოვიქციე, თითები დავუკოცნე. სახეზე  
მისი გახშირებული სუნთქვა დამეფინა. ის-  
ის იყო, უნდა მეკოცნა, რომ მოულოდ-  
ნელად მანქანაში უცნაური და საშინელი  
ხმა გაისმა, თითქოს მატარებელმა  
ზედიზედ რამდენჯერმე მევეთრად დაბ-  
მუხრუჭა და ჩვენს მანქანას თავზე გადა-  
უარაო... რაღაც ამდაგვარი.

საბინაძ იკიველა და ჩაძევრა. შოშქევენა, გონება დაკარგა. მოულოდნელობისა-გან გული მეც ამიფართხალდა. როდესაც მიმოვისხედეთ, დავინახეთ, ცხენი იყო. საპინას მხარეს სარკმელში შემოყეყო თავი და ისევ აპირებდა დახვიცხინებას... მოკლედ, კვლავ მეხად უნდა დაგვტყვდომოდა. არც ვაცალე, დავუკვირე და გაგვეცალა, არც შეშინებია. თეთრი ცხენი იყო, მუხლებამდე წყალში შევიდა და აუჩქარებლად გაუყენა.

მერე კი აგვიტყდა სიცილი, მაგრამ მან-  
ამდე ლამის მოსაბრუნებელი გავხდოთ. სა-  
ბინა ტიროდა, ძლივს დავამშვიდე. ვკოც-  
ნიდი, გრძელ თმებზე ვეფურებოდი —  
საოცრად ლამაზი იყო, უმანკო სახეზე  
მთვარის შუქდაფენილი.

საბინა თავის მმოლდიურ ქალაქში, ბერ-  
ლინში, სწავლობდა. სოხუმში დასასვენე-  
ბლად სამი კვირით იყო ჩამოსული. იმ  
დროს ჩემი ეფემერული, სასიყვარულო  
ისტორიები ერთმანეთს სწრაფად ენაცვ-  
ლებოდნენ — იცვლებოდნენ ქალები, მათი  
სახეები, ხასიათი, სხეულები. სწორედ ის  
დრო მადგა, როდესაც ქალის სხეულს  
უფრო იძეცნებ, ვიდრე მის სულს და ჩვენი  
სხეულები უფრო ესაუბრებიან ერთმანეთს,  
ვიდრე ჩვენ თავად. ყოველი ქალის სხეულს  
თავისი ენა ჰქონდა და მეც ბეჯითი სტუ-  
დენტივით ვსწავლობდი იმ ენებს. ზოგი  
მათგანი დაუყინებარი იყო, საბინა კი —  
განუმეორებელი.

შემიყვარდა.  
მასთან ყოფნისას ლვინოსაც სხვა გემო

କ୍ଷେତ୍ରଦା ଏବଂ ପୁରସାତ୍, ମୁଁ କ୍ଷେତ୍ରରେ ନିରାମିତ କାଳିଗାନ୍ଧିଜଙ୍କ ପାଇଁ ପରିଚାରକ ହେଲାମାତ୍ର ନାହିଁ । କିମ୍ବା କାଳିଗାନ୍ଧିଜଙ୍କ ପରିଚାରକ ହେଲାମାତ୍ର ନାହିଁ ।

საბინა და მე ცოტას ვსაუბრობდით,  
ჩვენი ნორჩი სიტყვები ჯერ არ იყვნენ  
მსჯელობებით დამძიმებული და კი არ  
ცხოვრობდით, ვნებივრობდით. ჩვენი  
გულწრფელობა კი ის პედაგოგი იყო,  
რომელიც ზღვასავით უკიდეგანო თავისუ-  
ფლებას გვასწავლიდა. თუ უპირველესი,  
ახუ გულწრფელობა არა გაქვს, ქეორეს,  
ანუ თავისუფლებას მანამდე დაკარგავ,  
სანამ ეს უკანასკნელი ჰორიზონტზე  
გამოჩნდება. ასე ცხოვრება კი ძალიან  
რთული იყო ჩემი ბავშვობისა და ახალ-  
გაზრდობის ქვეყანაში.

ყოველი ადამიანის სახეზე, ასე თუ ისე, იყითხება მისი მშობლიური ენა, საპინძას სახეზე კი ძალიან ადგილად იყითხებოდა მისი გერმანული, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა იმ გერმანულისგან, რომელიც მეორე მსოფლიო ომშე გადა- დებული საბჭოთა ფილმებიდან გვესმოდა. სხვა ქეყანაში რომ დაბადებულიყო, დარ- წმუნებული ვარ, იქაური ენის წყალობით, სახეც სხვანაირი ექნებოდა და მანერებიც. იმ დროს ჩემი ყოველი სიყვარული უკა- ნასკნელი მეგონა. საპინძასთან ერთად მიყ- ვარდა ყველა და ყველაფერი — ქალაქის



## გურამ ოდიშარია

# კენტავრუმინფ

## ფრაგმენტები მომავალი რომანიდან

ცნობილი ლოთიც, რომლის ცხოვრებაც, დროთა განმავლობაში, საკმაოზე მეტად გამარტივებულიყო და ლია, ქოლგებიან კაფეში შემოხეტებული ჩევნგან მხოლოდ ერთ კათხა ან სულაც ნახევარ კათხა ლუდს ითხოვდა... გარიც, რომელსაც მარინებულის სუნი მუდამ თან დასდევდა და ფუნიკულიორის სქელ, აპონძერებულ სიმწვანეში ამავალ აღმართზე, ჰაერობურთივით შემსუბუქებული, ადვილად გვასწრებდა... ლვინოც და მუსიკაც, ერთმანეთში გადახ- ივლისის ბოლოს დავშორდით, ბერლინ-ში დაბრუნდა. მხოლოდ ერთადერთი წერ-ილი მომწერა და დამეკარგა. სად არ ვე-ძებდი... მერე ვიფიქრე, ალბათ ჩემი სიყ-ვარული და ოცნება მოღალატე ფორ-ტუნამ სხვას აუზდინა-მეტქი... და გვიან, ძალიან გვიან გავიგე, რომ დაღუცულა იმავე წლის აგვისტოში, ბერლინში, ფედ-ერაციულ გერმანიაში გაქცევის მცდელო-ბისას მესაზღვრეებს ბერლინის კედელთან მოუკლავთ.

„ამერიკის ხევ“

ბობსა, არა და არა...  
და დრო, როდესაც შენი ჭეშმარიტი  
სამშობლო მხოლოდ უსაზღვრო და უნა-  
პირო ზღვაა.  
ერთხელაც, მასთან ერთად ზღვაში  
ცურვისას, ბედნიერებისაგან გაპრუებული  
ისე მოვდენდი, რომ კინალამ დავიხირვი.  
ზღვაში ღრმად ჩაძირულმა საკუთარ თავს  
ვუთხარი — ცხოვრება კარგი რამება, ახლა  
რაა და მერე რა იქნება, წუთების ისეთი  
შესანიშნავი ნაკრებია, რომ ღირს, უკეთე-  
სი ცურვა ვისწავლო-მეთქი და სწრაფად  
ამოყენინთე.

ანდროს მამა, შალვა ბიძია, ძალიან  
მეცაცრი კაცი იყო და ცდილობდა,  
როგორმე გამოესწორებინა შვილი,  
გამორჩეულად ზარმაცი, სწავლაზე სადო-  
მაზობისტურად გულაცრუებული და  
როგორც შალვა ბიძია ამბობდა, ყოველ-  
ნაირი გრაფიკიდან ამოვარდნილი. ანდრო  
ინსტიტუტში სწავლობდა და ყოველი სე-  
მესტრის ბოლოს, ხან ნაცნობობით, ხან  
ხვეწნა-მუდარით, უფრო ხშირად კი ქრ-  
თამით ძლივსლა ახერხებდა კურსიდან  
კურსზე გადასვლას.

შალვა ბიძია ბობოქრობდა, რა ქვეყანაა

შემიყვარდა ჩემთვის მანამდე უცნობი სიყვარულით. საბინას შემდეგ ასე დამეტედა — ვინც ძალიან შემიყვარდებოდა, იმ დროს მის გარდა ჩემთვის სხვა ქალი არ არსებოდა.

საბინა მეტად მგრძნობიარე და ბავშვურად გულწრფელი იყო, იმდენად, რომ დარწმუნებული ვიყავი, ცხოვრება ძალიან ადვილად და ხშირად ატკინდა გულს.

ლი არ დაიშურა. გარდა ამისა, „პეტრიქის სმის“ მოსმენა მისთვის იმავლროვანლად სასტიკი, უსამართლო, ყალბი, ფუფუნები-სა და ვერცხლისმოყვარული ხელისუ-ფლების წინააღმდეგ მიმართული პროტესტიც იყო.

რიცტუალი დამის 12 საათზე იწყებოდა  
(მოსამზადებელი პერიოდი არ ითვლება) — შალვა ბიძია მიუჯდებოდა თავის უზარმაზარ რადიომიმღებს და მის შიშინ-სა და წუილში, ანდროს დახმარებით, აუცი-ლებლად მოძებნიდა „ამერიკის ხმას“, რომელიც საბჭოთა კავშირის ხმის ჩამხშობი რადიოსადგურების მთელი მონდომება-მონადინების მიუხედავად, მაინც აღნევდა ჩვენს ქალაქამდე, გადმოდინდებოდა ოკეანისგადმიდან, გამოყვებოდა ატლანტის ოკეანეს, წამებმი მიუჟახლოვდებოდა მაროკოს ნაპირს, გიბრალტარის სრუტით შემოშრიალდებოდა ხმელთამუა ზღვაზი, გამოუყვებოდა ეგეოსის, მარმარილოს ზღვებს და ბოსფორის სრუტით შემოიჭრებოდა შავ ზღვაში, მოძებნიდა სოხუმს, ჭანბას ქუჩას, შალვა ბიძიას სახლს და ოდნავ დალილი გაუძლერდებოდა მის რადიომიმღებში.

და მაინც, „ამერიკის ხმა“ თითქოს უშორესი პლანეტიდან ისმოდა. რადიოტალღების, როგორც მოვლენის, არსში ჩახედული ადამიანები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის განაპირო, ზღვისპირა ქალაქში ვცხოვრობთ და სწორედ ზღვის წყალობაა, რომ „ამერიკის ხმას“ ვუსმენთ, ამერიკასთან პირდაპირ ზღვით ვართ დაკავშირებული, თორებ კავკასიის მთებში „ამერიკის ხმა“ ვერ აღწევს, მწვერვალებსა და ხევ-ხუცებში უგზო-უკავლოდ იკარგება.

ბრეუნვის მმართველობის დროს ჩვენს ქალაქში რამდენიმე „რადიოსულიგანი“ გამოჩნდა. ისინი თავადვე აკონიქტბდენ, ასე ვთქვათ, თავიანთ შინაურ რადიოსადგურებს, რომელთა მოქმედების ზონა ქალაქის ფარგლებს იდნავ თუ ცდებოდა. რადიოსულიგნებს თავიანთი რადიოფსევ-დონიმები ჰქონდათ: ზოგი „კოსმოსი“ იყო, ზოგიც — „შავი ზღვა“, „ამზიბია“, „დომინო“, „დემონი“...

რადიოსულიგნები აპოლიტიკურები იყვნენ — თავიანთ შეყვარებულ გოგონებს დაბადების დღებს ულოცავდნენ, მოკითხვებს გადასცემდნენ ერთმანეთს, ასმენინებდნენ ჯაზურ და ელექტრომუსიკას... ძირითადად, მათი საქმიანობა იმ თანამედროვე მუსიკის ტრანსლირება იყო, რომელიც, მართალია, მაშინ ოფიციალურად არ იყო აკრძალული, მაგრამ მას ვერასოდეს მოუსმენდით საბჭოთა კავშირის ორად-ორი ტელემაუზყებლობისა და თითზე ჩამოსათვლელი რადიოსადგურების საშუალებით.

რადიოსულიგნების წყალობით, მართალია, მოგუდულად, შიშინ-შიშინით, მაგრამ ქალაქში მანიც ჟღერდა ბითლზების მუსიკა, „Rock 'n' roll“, მძმე როკი, ელვის პრესლი, ანსამბლები „Chicago“, „Deep Purple“, გენსბურის, მაშინ ჩევნი გაგებით, ძალიან სექსუალური მუსიკა და უამრავი სხვა. სხვათა შორის, რადიოსულიგნების წყალობით მრავლდებოდა სერუ გენსბურისა და ჯეინ ბირკინის ვნებიანად მოჩურჩულე სიმღერების ფონზე სექსუალური აქტების წარმართვის დაუვინყარ-ჯადოსნური შემთხვევებიც.

ტექსტების შინაარსი, მართალია, არ გვესმოდა, მაგრამ გვესმოდა იმ მუსიკის თავისუფალი ულერადობა, რომელიც მოსმენამდე უცხო, მორეული და ისეთივე გაუგებარი იყო, როგორც პასუხგაუცემელი და სრულიდ გულწრფელი კითხვა — რატომ, რატომ, რა მიზეზით, რის გამო აძლევს კებ რადიოსულიგნებს ამდენ უმოქანა!

უფლებას! რაც შეეხება რადიოხულიგნებისთვის მინისადგურების ტექნიკურ გამართვას, ეს რთულ საქმედ არ ითვლებოდა, მითუმეტეს, იმ ქალაქში, სადაც არსებობდა გასაიდუმლობელი ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, რომლის სპეციალისტები ახალი თაობის რაკეტებსა და წყალქვეშა ნავებზე მუშაობდნენ და ნებისმიერ ენთუზიასტ ბიჭს ნახევარ საათშიც ასწავლიდნენ პორტატული რადიოსადგურის ანცობას.

თანამედროვე მუსიკის ფირფიტებს მეზღვაურებთან ვყიდულობდით, ქალაქში ასევე არსებობდა ფირფიტების კუსტარული ჩამნერი, სადაც ნებისმიერ მსურველს 1 მანეთად ნებისმიერ მუსიკას ჩატერდა.

- 3 -

ნენ, ფირფიტებად რენდგენის ფირებს იყენებდნენ. სახლში რამდენიმე ასეთი ფირფიტა მქონდა, რომლებზედაც გამოსახული იყო მოტეხილი ხელი თუ ფეხი, ნეკტები, კენჭიანი თირკმლები, ჭლექიანი ფილტები, ლიდლები, კუჭები, ადამიანის სხვა შიდა თუ გარე ორგანოები... და ტრიალებდნენ და ტრიალებდნენ ფირსაკრავებზე ქალაქელების სხეულის ნაწილები და შინაურს თუ გარეულს, გამვლელ-გამომვლელს გულუხვად და დაუზარელად ასმენინებდნენ აკრძალულ მუსიკას.

ერთ-ერთი რადიოხულიგანი, „დომინო“, ანდროს მეგობარი იყო. ერთხელაც რამდენიმე ბატქა გადავწერებო, ანდრო მამამისის დიქტატურისაგან გვეხსნა და ოჯახში მისა ავტორიტეტი გაგვეტყიცებინა. ერთ მშვინეულ დამესაც, 11 საათსა და 57 წუთზე, ანდრო, როგორც იჯახში „ამერიკის ხმის“ მთავარი „დამჭერი“, რადიომძღვანი მიუჯდა და ზუსტად 12 საათზე „დამჭერა“ ეიდეც სანუკვარი, რეკანისგალმური ხმა.

შალვა ბიძიასათვის ლამის იჯახში წევრადქცეული დიქტორის ხმამ მისამიტბისა და რამდენიმე მოკლე ინფორმაციის შემდეგ გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში, პატარა, შავიზღვისპირა ქალაქ სოხუმში ცხოვრობს სტუდენტი ანდრონიკოლაშვილი, და რომ ის ძალიან ნიჭიერი, ძალიან დიდი მომავლის, ძალიან თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდა... მოკლედ, მსოფლიო დემოკრატიის მომავალი, შავი ზღვის შუქურა კაცია. როგორც კი საინფორმაციო ნაწილი დასრულდა, 12 საათსა და 15 წუთზე, „ჯაზის საათი“ „დაინყო და გაულერდა ლუი ამსტრონგის „What a wonderful world“...

შალვა ბიძია, რომელმაც, რა თქმაუნდა, ვერ იცნო ხმათ ნიჭიერი იმიტატორის, „დომინოს“ ხმა და ის „ამერიკის ხმის“ დიქტორი ეგონა, ძალაუნებურად, ფეხზე ნამოდგა და რადიომძღვითან თავრჩალუნულ ანდროს დაასტერდა. ჩვენ თავს ძლივს ვიკავებდით, რათა არ გაგვცინებოდა.

— კონიაკი ხომ არ დაგველია, — რამდენიმე წუთის შემდეგ ძლივს გასაგონად თქვა შალვა ბიძიამ.

იმ დღის შემდეგ ანდროსადმი შალვა ბიძიას დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. მათ სახლში უკეთ ხმირად ისმოდა — „ბატულია, თავი დაანეხე ბიჭ, დასვენოს, გამოცდებს მინც ჩააბარებს, ნიჭიერია, არ იცნობ შენს შვილს!“ ან — „ანდრო, შვილო, აი, ოცი მანეთი, ბიჭებთან ცივი ლუდი დალიე, დღეს ძალიან ცხელა“, ან კიდევ — „ანდრო, აბა, მოიზომე ეს ჯინსები, მეზღვაურებისაგან ვიყიდე, ამერიკულია, მგონი, „სუპერი რაიფი“...

შალვა ბიძიას ასეთი მოულოდნელი სახეცვლის გამო ბატულია დეიდას, ანდროს დედის, გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ვერაფერი გავიგე, ვერაფერი, — იმეორებდა ის, — ეს რა ხდება, რა ხდება, ვერაფერი გავიგე...

ქალაქის რადიოხულიგნებს ნეპტუნი და ზღვის ანგელოზები მფარველობდნენ, ზღვის თავისუფლების მარადიული და ამოუსნელობრივი პროგრამის წყალობით ზღვის სიკრეთის კგ-ეს მოქმედებებიც ასევე ამოუსნელი, იმდროისთვის ზეპუმანური და გაუგებარი იყო. ვგრძნობდით და გერედით, რომ საბჭოთა კავშირს ზღვაც ანგრევდა, მაგრამ რატომდაც ამაზე დღესაც არავინ არაფერს ამბობს.

### ლერთი გვაკატიებს?

სანიჩი, სანამ სტაბილურ სამსახურს იშვინიდა, მოის შემდეგ მძლოლადაც მუშაობდა, საკმაოდ მოძველებული მანქანით ერთ ხანში შესულ მღვდელს დაატარებდა.

ომის შემდგომი მძიმე დრო იდგა — უშუქობა, სიღარისებრი, თვალთვალია, მოგარისება და გამოისახავა.

ერთხელაც, ზამთარში, მღვდელმა სანიჩის უტხრა, ბათუმში უნდა ნავიდეთო. წვეიდნენ. როცა ზღვა გამოჩენდა, სიტყვაგვირი მღვდელი ლაპარაკის ხსიათზე მოვიდა, სანიჩის სულ მხარულ ამბებს უყვებოდა, კეთილი კაცი ჩანდა.

ქალულეთს რომ გაცდნენ, ულელტეხილზე, გზის პირას მდგარმა თორმა, ასე, თვალმეტი-ოცი წლის ბიჭა ხელის ქნევით ითხოვა, ნაგვიყვანებოთ. ლამდებოდა,



და. მღვდელმა სანიჩის უტხრა, გააჩერე, ცოდვები არიან, ნავიყვანოთო.

ბიჭებმა მღვდელს მაღლობა გადაუხადეს და დაამატეს, დაგვლოცე, მამაო. მღვდელმა მათ პირჯვარი გადანერა. ცოტა ხნის შემდეგ ბიჭებმა მღვდელს ჰქითხეს:

— მამაო, რა კარგია, რომ შეგხვდით, ცოდვილები ვართ, შარშანინ ბაზარში ერთ კაცს ნავაჭრი ფული მოვპარეთ... მოკლედ, როცა მოვკვდებით, ღმერთი ამ ცოდვას გვაპატიებს?..

მღვდელი კარგ ხასიათზე იყო და ბიჭებს გულლიად გაულიმა, გაპატიებთ, რა თქმაუნდა, ღმერთი დიდია.

ბიჭებმც განიმიეს და ისევ ჰქითხეს:

— მამაო, შარშან ქუჩაში კაცი გავძარცვეთ... ამასაც გვაპატიებს უფალი?...

მღვდელს ლიმილი გაუქრა, მაგრამ იმედი მანიც არ გადაუწურა ბიჭებს, მოკლედ მოუჭრა, გაპატიებთო.

— მამაო, ტაქსის მძლოლიც დავაყაჩალეთ... გვაპატიებს?

— ღმერთი დიდია... — ამოღერდა მღვდელმა.

— მამაო, თუ შეიძლება, მანქანა გააჩერე, რომ საბჭოს მძლოლმა, გადმოდით, რაღაც უნდა გითხოთა, ძალიან საიდუმლოა.

სანიჩიმა მანქანა გააჩერა, ჩამოვიდა მანქანიდან და მღვდელს ამოუდგა. ღრმა ხევის თავზე იდგნენ, ზღვიდან ცივი ქარი უბერავდა.

— მამაო, — დამცინავად გაიღიმა ერთ-ერთმა ბიჭთაგანმა და ქურთუკის ჯიბიდან დანა მოილო, — შენი მანქანა ახლა ჩვენია, ფეხით მოგინევს გასეირნება... ამასაც ხომ გვაპატიებს უფალი?!

მღვდელმა თავი დაახარა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობს, მერე ანაფორიდან ორი პისტორეტი ამოაფრიალა და დასჭივება:

— ღმერთი კი გაპატიებთ, მაგრამ მე არ გაპატიებთ, დედებს მოგ... თქვე ახვრები!..

ხან ერთ ხელს ანევდა მაღლა და ისროდა, ხანაც მეორე ხელს და მეორე პისტორეტიდანაც ისროდა. სამ-სამი ტყვია რომ გაისროლა, შიშისაგან ჩაუწუნებული ყაჩალები ნიხლის კერით ხევში გადაუშვა. მღვდელი ხანში შესული კი იყო, მაგრამ საკმაოდ ყოჩალად და სწრაფად მოქმედება.

მიგორავდნენ ბიჭები ფერდობებზე და სადღაც დაბლიდან სასონარკვეთილი ხმით გაყიდონენ:

— რას აკეთებთ, ბატონო მამაო, ღმერთი არა გნამოთ?..

დრო იყო მძიმე, ისეთი, იარაღის ენა ყველაზე გასაგები რომ ხდება.

### მარლანია

1924 წლის ზაფხულში, დილაუთენია, სანიჩის ბაბუა ცხრილების სხვა თავად-აზნაურთან ერთად დასახვრეტად მდინარის პირს გაიყვანეს. ის დრო იყო, როდესაც ბოლშევიკებრი ასე ცდილობდნენ ძველი ცხოვრების „ნაშოების“ თავიდან მოშორებას. 1924 წლით განიშნიან გამორჩეული იყო.

აკაცი სანიჩი, კომისავშირულ გზაში „გავიცანი“. ის ტურბაზის ინსტრუქტორების სელმდებარენი, კულტურული და საზოგადო მომავალი მარჯვების კაცი მარჯვების გამოსახული იყო. მიუხედავად კონიაკი სანიჩის სულ მხარულ ამბებს უყვებოდა.

ერთხელაც, ზამთარში, მღვდელმა სანიჩის უნდა სიღარისებრი გავიცანი. კეთილი კაცი მარჯვების პირს გაიყვანებოდა, კულტურული და საზოგადო მომავალი მარჯვების გამოსახული იყო. მიუხედავად კონიაკი სანიჩის სულ მხარულ ამბებს უყვებოდა.

ჩეკისტის შხამიანი ჩრდილი.

— ააა, სად ყოფილხობარ! გვემალებიზობო, ხალხის მცირებო, აფერისტო და მამაძალო მარლანიავ!.. — ხმადაბლა, ლამის ასერ-სიანად უთხრა გლეხს სათონდ მომლიმარ-მა მცვლელმა.

შეშინებულმა გლეხმა თოხი და ფუთა მინაზე დააგდო და სასონარკვეთილმა იყვირა:

— არა, არა ვარ მარლანია მე, ლუკავა ვარ, ლუკავა, კოსტანტინე. გლეხი ვარ, გლეხი!.. ქახისროსონის ძე!

— როგორ თუ არა ხარ მარლანია?! ვის ატყუებ, მამაძალო, შორიდანვე გიცანი, აკაცი მარლანია ხარ!.. — დასჭივიცლა ფიცერმა, ცხენი შებრუნა და ჯარისკა-ცეცხლები გლეხმა ხელით ანიშნა, ნამოიყვანებოთ და ისევ უკან, მდინარისკენ გაიჭრა.

რამდენიმე წუთში ჯარისკაცებმა ცხენზე გადაკიდებული, პირაკრული გლეხი მდინარესთან მიიყვანეს, ხელ-ფეხი შეუხსნეს და ცხრამეტკაციან თავად-აზნაურთა მტკრივში მეოცედ ჩააყვანეს.

გლეხ











## დათო მაღრაძე

**ქალი, პრომეთი და პოვიარო**

**თავი I. აპერეტივი**

ხელოვნებაში ყველა მედროვე  
იხსენიება თანამედროვედ.

**თავი II. ალილუა**

ლექსად მივწერე როცა პრომეთეს, —  
ცეცხლი ელაა, ალი ლუა...  
ჩემს ასანთის ღერს თავი მოკვეთეს  
და მიგალობეს ალილუა.

და მაინც ჯაზის რიტმში ვეფლობი,  
ელა ალია... ალი ლუა...  
მნამს ჰარმონიის განუყოფლობა,  
ელა ლუა...  
ალილუა...

**თავი III. O Captain! My Captain!**

— ჰეი! — ეს გახლავთ შორისდებული,  
ერთის შეხედით ორმარცვლიანი,  
მას ძალუს იყოს ერთმარცვლიანიც,  
თამამიც,  
არამორიდებულიც.

თუ სივრცეს უხმობ ამ შეძახილით,  
არის შეაფიონ და დიდებული...  
თუ კაცს ეძახი,  
არის სამხილი, —  
ნარმომავლობის შენის, დაბალის.

თქვენ რადაც გნებავთ,  
იმად ჩამთვალეთ,  
Comment-ის კითხვას ველარ ავიტან,  
მორჩა, ჯიბეში ვიდებ სათვალეს,  
— ჰეი! — გავძხი გემის კაპიტანს.

— ჰეი, კაპიტან! — თუმცა საიდან  
უნდა იცოდე ჩემი ამბავი,  
ორმაგი „სკორი“ სევდას გაიტანს  
მასზედ, რაც მორჩა დაუსტამბავი.

— ჰეი, კაპიტან! გავიდა გემი,  
გთხოვ, შეაჩერო სულ ერთი ნამით,  
გემზე ასულა სამშობლო ჩემი,  
გამომეპარა წუხელი ღამით.

სულ ერთი ნამით მოვხუჭე თვალი,  
— ეს რა ყოფილხარ, მუხთალო წამო —  
და ვრჩები მხოლოდ იმედად ქალის,  
უკვდავებისკენ ვეძახი: — წამო!

ზღვა მოწვდილია, როგორც ებბაზი  
და კაპიტანიც თავის ამალით  
ნათლისალებად დგება გემბაზე,  
ვით არქილის თეთრი მამალი.

ამპარტავნების როგორც სტიმული  
ეპოლეტებზე ბრწყინვას ლატუნი  
და კაპიტანი ვისქში ყინულით  
დაიჯვიმება პროჭის კრაჭუნით.

მე ზეცის ვარსკვლავს ვუშვერდი ღამით  
თეთრი პერანგის ჩამქრალ პაგონებს,  
ახლა კი ფიქრი სულ ერთი წამით  
ბედნიერებას მხოლოდ მაგონებს.

ამ წამს ვერ წაშლის წვიმა და ქარი,  
მიუღებიან ვერსათ დრონი

და ლექსის ბოლოს აღვნიშნავ თარიღს, —  
არის წამები უკალებდრონი.

100 წლის შემდეგ მოვა ტურისტი,  
ამ ქალაქიდან თუ დარჩა რამე  
და მოვა ერთი კითხვის გულისთვის:  
— სად, რომელ სახლში  
შეჩერდა წამი?!

გავიდა გემი... გადავაფასე...  
ცაზე დააკლდა ფერი საფირონს  
და გაქაჩილი მძაფრი წაფაზით  
კვამლში გაგხვიე ეს სანაპირო.

შენ ამ ქარტეხილს არჩიე გაცლა,  
მერე პორტიდან გავიდა გემი  
და ვიოლინოს სიმების წაცვლად  
მაჯის ვენებზე სრიალებს ხემი.

გავიდა გემი, როცა მემშვიდე-  
ბოდი, შოპენი ისმოდა შორით,  
ნოქტიურნი, მგონი, 27-ე,  
რე-ბემილ — მაჟორ, წანილი 2.

და განშორებას კარუზოს ტებბრიც  
გამოჰყუა, როგორც გემბანს თოლია,  
როგორც ფოთოლი, ნიაგა სექტემბრის,  
რომელმაც ვალსზე დაიყოლია.

მირჩია სევდამ ამ ჭიქის დაცლა,  
უდრონ დროში წამიყოლია...  
და დროს საათის ისრების წაცვლად  
ფრთებით მარვენებს ცაზე თოლია.

მაჩვენა თითქოს 9 და 15,  
ხან თითქოს 6 მაჩვენა ზუსტად,  
ასეა, როცა მხედარს სურს მეტი  
და ქამანდს მოსდებს გაქაფულ მუსტანგს.

ასეა, როცა დაექებ მამას,  
— რატომ? — დასცდება ნეტარ იესოს...  
და ჩემი სულის საკუთარ დრამას  
სხვაზე აფორმებს ნოტარიუსი.

სხვას გაუფორმეს სამშობლოც ჩემი,  
ხან არჩევნებით, ხან ავანეცბით,  
აი, პორტიდან დაიძრა გემი,  
თვალს გავაყოლებ და არ გავყები.

კლავიატურას ვეხები წაზად,  
რომ ავამაღლო დო, დო-დიეზით,  
სხვას ნაპყოლია, მომესმა ფრაზა,  
საცოლეც მარშალ დეფონტიესი.

სხვაზე დაწერეს მარშლის ანდერძიც  
და ბრილიანტიც მრავალკარატის,  
მე კი მალირსეს დროშის წაძინი  
ობის სურნელით კაკლის კარადის.

რომ ვაფრიალო მოხვეტილ ქარში,  
რომ შევუსრულო ანდერძი მამას,  
მიჭირავს, როგორც ბეთოლემის საშვი,  
როგორც სამშობლოს კარდიოგრამა.

ვერ შევეგუე და ახლაც მტანჯავს,  
მამის სახლში რომ ვაჭრები სხედან,  
მოწყალების და მისინჯავს მაჯას  
და ანუგეშებს წაღვლინ დედას.

გოლგოთა... ჯვარზე მამის შეილია,  
მერე კი დედას მელავებზე უნევს,  
ქვაზე ბორბონთა წვეთავს ლილია  
და სიტყვასავით ქვება ფურცელს.

**თავი IV. სარკე**

დღეს ჩემი სუნთქვა ისევე უკვირთ,  
როგორც მზის ხეატში ფრენა სიოსი,  
მე კი მისითვისაც მზადა ვარ, თუკი  
მამალს მოითხოვს ასკლეპიოსი.

კოჭლობით მივდევ ფიქრებს კაფეში,  
რადგან სახასარში გაცვდა მენისკი,  
შავი კვადრატის მოჩანს აფიშა,  
გაუქმებული წარმოდგენისთვის.

და მაუწყებლობს ჩარჩოში TV,  
ჩამქრალ ეკრანით, დამწვარ ნათურით,  
მნახველი უცქერს მზერით მარტივი  
და მანერებით ელეგანტურით.

ექსპოზიციის ფერმკრთალ კედელზე  
ჩანს პეიზაჟი ალბათ ჰადესის,  
დაუჭერია ლეთას მეთევზეს  
ეს მეტაფორა უდიადესი.

უმისამართო, როგორც კარცერი  
და აცდენილი საფოსტო მარკებს,  
ჩანს ექსპონატი, ქვევით წარწერით:  
მეფისტოფელის ერთგული სარკე.

ხან ფასდებოდა No comment-ით,  
ხშირად ისმოდა სიტყვა საქებიც,  
ვიდრე ბერე ევადრატს ნათელს მოვფენდი,  
ირიბი, გნებავთ, ზუსტი გაგებით.

მგონი, წამიყო, არა ლირს იქნებ  
ამდენ საკლევად სიშავე შავის,  
გულგრილად უცქერ თაროზე წიგნებს,  
იმუნტეტი შევიმუშავე.

მხატვრის ინტრიგას, მგონი, გავეშვი, —  
სათქმელია თუ დამალვა მისი  
და მაიც კითხვა დარჩა ჰაერში:  
— სიჩუმეა თუ,  
დუმილი ისმის?..

და ამ წყვდიადში რომ გავკრავ ასანთს  
და განათდება როცა თაღები,  
შორს აღარ მირბის ქალაქი არსად,  
მეხანძრე მორბის გამოძახებით.

**თავი V. ქალი**

წევმიან ქუჩას როცა ჩაივლის  
მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქოლგა,  
ასეთ დროს ხედი ჩემი აივნის  
დანტეს აღწერილ სამოთხეს მოჰგავს.

ეს აივანი ჩემი სცენაა,  
შიდა ოთახებს ვარქმევ კულისებს  
და ლექსი ჩემი გადარჩენაა, —  
სახლში მაბრუნებს,

როგორც ულისეს.  
სასიამოვნოდ სველდება ქუჩა,  
სურნელი ასდის ჯერ ხელუხლები  
და ქუჩას ჩემი სურვილი უჩანს,  
როგორც ამ ქოლგას  
თეთრი მუხლები.

მივყვები ქოლგას უკან და ვენი-  
ნაადმდეგები წიუტონს, ვიცი,  
მიზიდულობის კანონი ზეცის  
წინ დავაყენე კანონზე მინის.

აივნის მეტლას გაესწვევა ტერფით,  
ვით მოციქული წყალის სიმკვრივეს,  
შევწოდები სათქმელს,  
რადგანაც შევტრფი  
წყალზე წაბიჯს და არ გავიკვირვებ.

ხან ციდან ისმის  
ხმა, ხან ორმოდან,  
და უცბათ ძარღვები გაირბენს დენი,  
წევეთვეს ლილია დიად ბორბონთა,  
როგორც კალმიდან სახელი შენი.

მე უშენობა იმდენად მიმძიმს,  
უშენობაზე ფიქრიც კი მღუპავს,  
ჩემი სანთელი დაინყებს ციმციმს,  
თუ შენი ქოლგის დამადგამ გუმბათს.

ჩემს გადარჩენას ბადრაგთან გმაზავ,  
უძილო ლამით აგვინძე მძივი,  
მაღვიძებს ლექსის პირველი ფრაზა,  
მაძინებს დილის პირველი სხივი.

რადგან გმირი ვარ და არა მოწმე  
და შავ კვადრატშიც შევალ ლამპარით,  
შეგთხოვ, რომ შენი ქოლგის ქვეშ მომცე  
პოლიტიკური თავშესაფარი.



ზურაბ ლობჟანიძე

\*\*\*  
ჯერ არ მინახავს ქვეყნად არავინ,  
რომ ამაყობდეს ხვედრით...  
წყვენა უთქმელი და შემპარავი  
არ მიჰყებოდეს გვერდით...  
როგორ მშურს მათი, ვინც დადის დინჯა  
არ ეჩქარება არსად...  
სიკვდილ-სიცოცხლეს ის კი არ მიჯნავს,  
აღიქვამს ერთ დიდ ფარსად!..

\*\*\*  
როდის მოვა ჩემი დრო,  
როდის გავშლი ფრთებს...  
ზეცა როდის შემინდობს,  
გადავუფრენ მთებს...  
სიზმარს ცხადად შევიცნობ,  
რაც მტანჯავს და მგვემს...  
უფლის სუნთქვას შევიგრძნობ,  
თავს ვიპოვნი ჩემს...  
...  
როდის მოვა ჩემი დრო,  
როდის გავშლი ფრთებს...

\* \* \*\n
 ზურა, ზურა — შე ძველო...  
 რას ნუხარ და ჩივი...  
 რაო, რა ვერ შეძელო,  
 რა გიმაფრებს ტკივილს?!.  
 ის, რომ უცხოდ ბერდები,  
 არსად გიჩანს ხვავი...  
 ზეცას ლოცვა-ვეძრებით  
 მოაბეზრე თავი...  
 კიდევ, რომ ვერ გაიგე  
 თავი-ბოლო სოფლის...  
 კითხვა ხანჯლად ჩაიგე,  
 ღვარე ცხელი ოფლი:  
 ღირდა ამდენ ვაებად,  
 ფიქრად, განსჯად, ცრემლა  
 სიტყვის აღქმა ღვთაებად,  
 ნუთისოფლის გრძელად?!

\* \* \*

რა ხანია მივაჭენებ რაშს,  
გზას უხილავს ჯერ არ უჩანს ბოლო...  
ეს სიმართლეც რომ არსად არ ჩანს...  
რაღაც მსგავსი ისახება მხოლოდ...  
ვფიქრობ: იქნებ სულ ტყუილად ვწვალობ  
არსაითაკ არ მიმიყანს გზა...

იქნებ!.. ღმერთი მარტო მე არ მზყალობს,  
იქნებ მარტო მე არა ვარ მზად!..

\* \* \*

როგორ ხარ ჩემი,  
როცა შენგან არ მახსოვს სითბო...  
შუქი, ნათელი,  
თუნდაც ერთი გულთბილი სიტყვა...  
იქნება მითხრა —  
შენგან ისეთს რამეს თუ ვითხოვ,  
რაც შვილებისთვის  
არ გიქნია, მათგის არ გითქვამს...

როგორ ვარ შენი,  
როცა შენთვის ვბერდები უცხოდ...  
დედაშვილობას  
ხომ სიმართლე, სინმინდე შვენის...  
დედაშვილობის  
მაღლს და ნუგეშს ამაოდ ვუხმობ...  
არა ხარ ჩემი,  
სამწუხაროდ არც მე ვარ შენი!..

\*\*\*  
ღმერთო, ნიჭი რად მინდოდა,  
მარითათი მოგეცა...  
ნეტავ აქ ვინ დამინდობდა,  
ფხა არა მაქვს რომელსაც...  
არ იცოდი სად მიშვებდა,  
მახურავდი რომელ კას?..

\*\*\*  
მიეცი და დაანებე ფიქრს თავი...  
შენ კი ხელი რამეს ისეთს მიჰყავი...  
ნინ წყალი და უკაან კიდევ მეწყერი...  
მოსდებია მინას შამბი, ეწერი...  
შესევია ზეცას შავი ჭილყვავი...  
შენ კი მხოლოდ საკუთარ ხელს შესწყერი —  
შენი ხელის კრაპოფილი იყავი...

\*\*\*  
 რაც გიჭირდეს,  
 ის გიკვირდეს...  
 აი, კაცთა ბუნება...  
 რაც გილხინდეს,  
 ის გიღირდეს...  
 კიდევ ერთი ცდუნება...  
 რასაც ხეალ-ზეგ  
 თან მოჰყვება  
 ოხის ა აუპროჩიბა!

\* \* \*

ლამის არის დამაჯერონ —  
ძველი დრო სჯობს ამ დროსო!...  
(დროის წინსვლა გააჩერონ) ...  
ყველა ამას ამბობსო...  
ხელს იშვერენ სადლაც იქით,  
ჩრდილოეთის კარისკენ...  
თან შესთხოვენ არყის ჭიქით —  
კიდევ ერთხელ გარისკი!..

# ანდრო ბუაჩიძე

## აზრის რიტორული რხევა



გასული საუკუნის ოთხმოცი წელი იყო, ოტია ჰაჭკო-რია პირველად რომ ვნახე. ის შურნალ „ცისკრის“ რედაქ-ციაში მუშაობდა. მეც იქვე, მთარგმნელობით კოლეგა აში დავიწყე იმსახად სამსახური და ოტიას თითქმის ყოველ-დღე ვეცდებოდი. ხშირად შემისწრია თვალი, სწრაფი ნაბიჯით როგორ აირჩენდა ხოლმე კიბეს.

ମାସ ପ୍ରେସରିଙ୍ଗିଶ୍ବିଳ ତାଙ୍କିଲୀର ରିକଟ୍ମିନ କ୍ଷେଣିଦା, ରନମେଲସାଫ୍ ଏରାସାଫରିଲ୍ ଡାଲାଟାଥିଓଡ଼ିଆ, ଥିଂଗଜ୍ଯୋର ହିରେନ୍ଦ୍ର ରେଧାକ୍ଷେତ୍ରିକ୍ ଗୋଟିର ଡେର୍ରେଫାନ୍ସ ଗାଇଵିଲିଡା, ରନମେଲୀମ୍ବ ନତାଖୀର କାର୍ସ ଜୀବ୍ୟୁର ଶେକ୍ସନିର୍ଦ୍ଦା ଏବଂ ଥିଲ୍ୟୁରିବ୍ଲିଂଟ୍ରେ ଶେମଦିଗାରି ତାନାମିଶ୍ରମିଲ୍ଗିଥିଲ୍ ଗାରିଗୋପାରାକ୍ସନ୍ଦ୍ରିଯାର୍ଦ୍ଦା.

ის მითებად გადაქცევა“.

თვითონ ოტია არა მხოლოდ მოქმედებებით ცხოვრობდა, არამედ — სიტყვებითაც. ოტია საუბრობდა მთავარსა და არსებითზე სიტყვის მეშვეობით, ის ფერის და ფორმის გამომხატველი იყო. ოტია სიტყვის ალექიმიას ფლობდა, სიტყვების ნაზავით ქმნიდა მელოდიას, განწყობას, ფორმას, ათასგვარ კონფიგურაციას. ის იყო ლირიკოსი და ამავე დროს ანალიტიკოსიც. მხოლოდ ლირიკოსობას არ სჯერდებოდა. ის ესეისტი და პროზაიკოსი იყო და იცოდა, რომ უმაღლეს პროზაში პოეზია და პროზა ბოლომდე განუზავდება ერთმანეთს. ასეთ პროზაიკოსებად მიაჩნდა სერვანტესა, სტენდალი, ტოლსტოი და ამიტომაც წერდა მათ შემოქმედებაზე. ქართულ პროზაზე როცა წერდა, ექცებდა მთავარს და არსებითს — ცნობიერ საწყისს და „ეთიკურ კანონს“. ყოველივე ამას რომ მიაკვლევდა, მერე უკვე აღექვატურ ფორმას, ემოციურ და ესოებიკურ ზომოქმილობასაც მოითხოვდა.

ოტიასთვის ესა თუ ის განხილვის საგანი, მხატვრული ნაწარმოები თუ მწრალია სამისო საბაბი იყო, რომ თავი-სი ლიტერატურული მრნამსი, ზოგადად, ლიტერატურ-ისადმი და ცხოვრებისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამეტდავნებინა. ნაკლებად მნიშვნელოვანი საბაბიც კი მნიშვნელოვნა იქცეოდა მის ხელში, ასდგან ეს საბაბი მის პიროვნულ წარმოსახვას, კრეატიულ ენერგიას აძლევდა სადინარს. ოტია პაჭკორიას ზედმინევნით ეს-ადაგებოდა ბიუფონის ნათქვამი — სტილი ადამიანია. ყველა მეტ-ნაკლებად გამოკვეთილ პიროვნებას არა აქვს თავისი გამოკვეთილი სტილი, ოტიას კი ჰქონდა.







დაწერილი ხელშეკრულებას დებს ეშმაკ-თან; პირველი მეტამორფოზისას (ჰქლე-მად ყოფნის პერიოდში) „უნმინდურ წყალ-ში“ შედის, ანუ „ინათლება“, რადგან იგი, მისი აზრით, „ჭეშმარიტების წყალია“. „მე-თევზის უბოროტეს მწვერვალზე“ ასევლამ-დე ზარატუსტრა დასცინის ყველასა და ყველაფერს: მღვდლებს, მონაზენებს, ქირ-ნინებას, აღსარებას, სინანულს, მოყვასის მოყვარულ ადამიანებს, უსამასახურო კარ-დინალს... ზეკაცის აზრით, ღმერთი მკვ-დარია და შესაბმისად, ღვთისმსახურებიც ფუნქციის გარეშე არიან დარჩენილნი.

ყოფადობა ღმერთთა როკვად და ღმერთთა ლალობად“ ეწვენება.

მანიც კრისი თქმას სურს ზარატუსტრას? თუკი ეშმაგი არ არსებობს, როგორდა ხვდება და ესაუბრება მას? ან თუკი ყველა ღმერთი მოკვდა და მხოლოდ ზეკაცია მნიშვნელოვანი, რატომძა იღტვის სამხრეთისკენ შიშველ მროვაც ღმერთთა ფერ ხულში ჩასაბმელად? აღნიშნული შეუსაბამობები ზოგიერთ მნერალსა და ფილიოსფონს აფიქრებინებს, რომ ნიცშეთავის ცნობილ თხზულებაზე მუშაობისას ფიქრები უკვე შერყყეულია. ლევ ტოლ-

„გამორჩეულად ცინიკურია ზარატუსტრას დამოკიდებულება ჯვრისწერისადმი: „ამბობენ, მათი ქორნიზება ცაშია ქმნილი. მაშ, აღარ მსურს იგი, ზედმეტიც (ა! არ ვსაჭიროებ მათ, ციურ ბადეში გაბმულ ცხოველთ! შორს იყოს ჩემგან თვით ღმერთიც, მის დასალოცად რომ მიჩანჩალებს, რაც არ შეუწორებია!“

ცეკვა ეს უკავშირი იყენება: „უკავშირი მაგალითად, მას გიგა უწოდებს (არ გადატანით, არამედ პირდაპირ მნიშვნელობით) და მიაჩინა, რომ ნიცშეს თხზულებები სულიერებისთვის სახიცათოა ხოლო სხვები, პირიქით, ხოტბას ასხამენ „ზარატუსტრას“ და მის გავლენასაც კაგანიცდიან.

სრულიად განსხვავებულია თომას მა-

ბუუებრივია, ისმის კითხვა, თუ არა ლე-  
ერთმა, ვინ უნდა დაიცვას ადამიანი? ვინ  
უნდა აკურთხოს ქორწინება? ზეკაცმა?  
წარმართმა ლმერთებმა? ამ კითხვებზე  
ზარატუსტრას პასუხი არ აქვს, მისი ცნო-  
ბიერება გაორებულია. თხზულების 1 ნაწი-  
ლის მე-6 თავში მომაკვდავ ჯამბაზს ეუბ-  
ნება: „არა ეშმაკი და არც ჯოჯოხეთი.  
შენი სული უფრო აღრე მოკვდება, ვიდრე  
სხეული: აღარათრის გეშინოდეს!“ მომ-  
დევნო თავში „საიქიოს მოტრფიალე-  
თათვის“ კი საიქიოს არსებობასაც უარყ-  
ოფს და ლმერთისაც, რადგან, მისი აზრით,  
უფალი მოკვდა. თუმცა თხზულების  
შემდგომ თავში „მოედნის ბუზებისთვის“  
„მკვდარი“ ლმერთიც ჩნდება და არარსე-  
ბული ეშმაკიც, რომელთა წინაშეც  
„აბეზარი მნერები ლიქნობენ“ მეტიც, თვი-  
თონ ზარატუსტრაც ხედავს მას. მისი ეშ-  
მაკი დაობაისელი, ძირმაგარი, ღრმა და  
მხიარულია. „არა რისხვითა, არამედ სი-  
ცილითა ჰყლავენ“, — აღნიშნავს ზეკაცი.  
უნებლიერ გვახსენდება უმბერტო ეკოს  
პერსონაჟის ლირსი ხორხს სიტყვები სი-  
ცილის სახიფათოობის შესახებ. ნიცშეც  
საუბრობს სიცილ-სიცილითა და თამაშ-  
თამაშით ადამიანის დაცემაზე, რომლის  
უმთავრესი მიზეზიც სიძმიმის სული, ანუ  
ეშმაკია. სწორედ ის განაპირობებს ზარა-  
ტუსტრას ქვედაშევებასაც...

დაცემა იმდენად შემზარავია, რომ ზარატუსტრა ბავშვის მინოდებულ სარკე-ში უკვე არა საკუთარს, არამედ ეშმაკის სახეს ხედავს. მათ შორის თანდათანობით ზღვარი იშლება, ხან ზარატუსტრა ამბობს, ღმერთი მოკვდაო, ხან კი — ეშმაკი. თუმცა წინააღმდეგობები ამით არ სრულდება, თავში „ცეკვის სიმღერა“ ზეკაცს თითქოს კველაფერი ავინყდება, რაც მანამდე თქვა და საკუთარ თავს „ღმერთის მეოხად“ აცხადებს. აი, რას ეუბნება ის მოცეკვავე გოგონებს: „მე ღმერთის მეოხივარ ეშმაკის წინააღმდეგ: იგი სიმძიმის სულია. ვით ვიქენები, თქვენ მსუბუქონ, ღვთაებრივი ჯიკვის მტკრი?“

„მუსიკაში ორაზროვნება სისტემასავით  
არის მოცემული, რომელი ტრინიც გინდა,  
ის აიღე. შეეძლია ისეც გაიგო და ასეც.  
ქვევიდან როგორც უფრო მაღალი, ისე  
ალიქვა, ზევიდან — როგორც უფრო და-  
ბალი...“

„ზარატუსტრას“ მყითხველსაც ისეთი  
შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს რაღაც  
მწყობრ ფილოსოფიურ მოძღვრებას კი არ  
ეცნობა, არამედ მუსიკას უსტენს ორმაგი  
კონტრაპუნქტით. ადრიანი ჯერ გაორებუ-  
ლია, მოგვიანებით კი უკვე შესძლილიც....  
მსახალი აზაურო აიაროს, თაშიასი ირ-

საგავასი გ ზა უზდა გაიაროს ფარისტულობა გერმანიამაც. თომას მანის აზრით, მანაც უნდა დადოს ხელშეკრულება ეშმას-თან. „გერმანია... უკვე ემზადებოდა მსოფლიოს დასაპყრობად იმ ერთადერთი ხელშეკრულების თანხმად, რომლის ერთგულიც სურდა დარჩენილიყო და რომელსაც საკუთარი სისხლით მოახერა ხელი. დღეს კი იგი, დემონებით გარემოცული, ცალ თვალზე ხელაფარებული და მეორეთი ქვესკნელში ძრნოლით მაცქერალი, სულ უფრო და უფრო დაბლა ეცემა სასონარკვეთილებიდან სასონარკვეთილებაში“, — ვკითხულობთ „დოქტორ ფაუსტუშიში“.

ქართველი სიცოდურის ეჭვი

ადრიან ლევერკუნისთვის სიცილი  
ერთ-ერთი უმთავრესი სახასიათო შტრიხ-  
ია. თვითონაც უკვირს, მუსიკის მოსმენის  
დროსაც რომ ეცინება, „ანანსაკუთრებით  
ბომბარდინოს დუდლუნა ბეგერებზე: ბუმ,  
ბუმ, ბუმ! — ბანგ! შეიძლება თვალცრემ-  
ლიანი ვიყო, მაგრამ სიცილს მაინც ვერ  
ვიკავებ”, — ეუბნება ის მეგობარ ზერენუს  
ცაიტბლომს. მოგვიანებით კი სიცილის  
სატანური ბურების შესახებაც საუბრობს.  
თურმე ქამი (ნოეს ვაჟი და ჯადოქარ ზო-  
რიასტრის მამა), როგორც ნეტარი ავგუს-  
ტინეს „უფლის ქალაქში“ ამოკითხა, ერ-  
თადერთი ადამიანი იყო, რომელიც სი-  
ცილით მოევლინა ამ ქვეყანას, რაც მხ-  
ოლოდ სატანის დახმარებით შეიძლებოდა  
მომხდარიყო. ადრიანი თვითონაც ხშირ-  
ად იცინის ცივი სატანური სიცილით.  
თითქოს მისი სისხლი და გრძნობა წესი-  
ერად არასდროს გამთბარა რაიმე საგნ-  
ისადმი სიყვარულით. თვითონაც ხვდება,  
სითბორ რომ აკლია. თუმცა, მისი აზრით,  
შერისხული ისაა, „ვინც არც ცივია და არც  
მხურვალე, არამედ გულგრილი“, მას კი  
საკუთარი თავი გულგრილად არ მიაჩნია,  
რადგან აშკარად ცივია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიცილს, როგორც ესეს დასაწყისში აღვნიშნეთ, ბოკაჩის „დეკამერონშიც“. შავ ჭირს გარიდგებულთათვის ქალაქიდან ორი-ოდე მიღის მოშორებით მდგომი სახლი თითქოს ის დიონისური ტაძარია, სადაც დროსტარებითა და მხიარულებით უნდა დაალწიონ თავი განსაცდელს. მომაკვდინებელმა სენმა ადამიანები ისე გადააგვარა, რომ მიცვალებულებსაც კი არ დასტირიან, პირიქით, კუბოსთან მდგომ ქალებს შორის „ხშირად გაისმოდა სიცილი, ხუმრობა და საერთო მხიარულება“. ჯოვანი ბოკაჩის თხზულება ერთგვარი ქადაგებაა. ავტორი თითქოს იმის გამო აშარუებს სასულიერო პირებს, რომ გვაჩვენოს, რაოდენ რთულია ქრისტიანული ცხოვრების ნესითა და რელიგიური ნორმებით ცხოვრება. ავტორის აზრით, ეს ადამიანურ შესაძლებლობებს აღმატება. მიწიერი ბედნიერება, ხუმრობა და დროსტარება — ხსნის დიონისური გზა — აი, რაა ბოკაჩიოსთვის მთავარი.

အေ, အာဒ တော်ကိုယ်ပတ်ကျေးမှု စံတာသာရှု၏  
လဲပေါ် အရဖွ နဲ့မံမာဝါဖွ ဂျာစီဖြတ်အောင်ပါ-  
စတွေးဆာ ဗျာပွ. တာသာအ မာ့ကွာ့ဘာရှု ထာ့ထာ့-  
နာ ကျော်ပို့ဆို လာ လွှာကျော်သာ ပို့ကိုတွေ့မျှဖွ၊  
မော်ဖွ, အော်ခွေ့ခွေ လာ လျာနာ့လူ (ပျော်လျော် လွှာကျော်-  
နာ ပျော်ခွေ) ပို့ကွာ်ရှု ကာနာ ဂာလှို့လွှာ့ဆို  
ကျော်ပို့ဆို ပွု့ကွာ်နားဆာ မြှာ့ကျော်နား။ အေ ရှာမ်,  
လဲပေါ်နားဆာ စို့ဖြု့ကိုယ်ပတ်ကျေးမှု အောင်ပို့ကွာ်နား၊ အရဖွ  
အာရာရှု အော်ခွေ့ခွေ လာ လျာနာ့လူ ပျော်ခွေ့ခွေ မြှာ့ကျော်-  
နာ ပျော်ခွေ့ခွေ အော်ခွေ့ခွေ ပွု့ကွာ်နား။



ლი და ფილოსოფოსი მათ ქრისტიანული საიდუმლოებების წინააღმდეგ მიმართავს. რა თქმა უნდა, ვერც ამას აცერძალავთ, რადგან გამოხატვის თავისუფლება მტკიცედაა დაცული სამართლის ნორმებით. ურნმუნოთა დევნისკენ არც მაცხოვარი მოგვიწოდებს, რადგან ქრისტიანობის უმთავრესი იარაღი მხილებაა. თუმცა ყველაფრის გაშარების მოსურნეთ ურიგო არ იქნებოდა შევასეხნოთ, რა შეემთხვა ქამს და რატომ დაიწყევლა მის გამო წარლინის შემდგომ დაბადებული პირველი ბავშვი. ზოგიერთს ნოეს საქციელი უცნაურდაც შეიძლება მოჩერვენოს, მართლაც, დანაშაული ხომ ქამბა ჩაიდინა და არა მისმა ვაჟმა ქანაანძა? მინდა იოანე ოქროპირის განმარტებით ნოეს არ ჰქონდა ქამის დღწყველის უფლება, რადგან ის, როგორც წარლინასგადარჩენილი ოჯახის ყველა წევრი, უფალმა აკურთხა. ამ კურთხევისას ქახანი ჯერ კიდევ არ იყო გაჩერილი. საეკლესიო გადმოცემით, ის კიდობანშივე ჩაისახა, რაც მეტყველებს ქმისა და მისი მეუღლის თავშეუკავებლიბაზე მსოფლიო კატასტროფისას. შუათანა ძმისგან განსხვავებით სემი და იაფეთი ღვთისმოშიშები იყვნენ. ისინი კიდობანში საკუთარ მეუღლებთან თანაყოფისგან თავს იყავებდნენ. მათ არც მამის სიშიშვლე უხილავთ, პირიქით, უკუსვლით მიუახლოვდნენ და მხრებზე მოსხმული სამოსელი გადააფარეს. „გამოფხიზდდა ნოე ღვთისგან და შეიტყო, როგორ მოეპყრა მას“ ქამი. „თქვა: წყეულიმც იყოს ქანაანი! თავისი ძმების მორჩილთა მორჩილი იყოს! თქვა: კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი სემისა! მორჩილად გაუხდეს მას ქანაანი! განუფართოს ღმერთმა იაფეთს, სემის კარვებში დაემკვიდროს! დაემორჩილოს მას ქანაანი!“

ნოეს კურთხევაცა და წყევლაც  
წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. სემის  
შთამომავლები, რელიგიური ოფიცერები  
გახდნენ. მათ წიაღში აღმოცენდა ორი ისე-  
თი დიდი რელიგია, როგორიცაა იუდაიზმი  
და ქრისტიანობა. იაფეთის მოდგმა,  
რომელიც თავდაპირველად მხოლოდ  
არალის ზღვის მახლობლად ცხოვრობდა,  
განივრცო და მსოფლიოში დომინანტი  
გახდა (როგორც რიცხობრივად, ასევე  
სამხედრო თვალსაზრისით). ქანანის შთა-  
მომავლები კი, მართლაც, მონები იყვნენ  
საუკუნეეთა განმავლობაში. აღთქმულ მი-  
ნაზე დაბრუნების შემდეგ ებრაელებმა ნაწ-  
ილი ამოხოცეს, ცოცხლად გადარჩენილე-  
ბი კი დაიმონეს. არც დავითისა და სო-  
ლომონ მეფეთა ეპოქაში შემსუბუქებულა  
ქანანელთა ხვედრი. „ხოლო ქამიტთა მე-  
ორე შტო — ფინიკიელები, განსაკუთრე-  
ბით კი ეთიოპელები, იაფეთური მოდგმის  
სალხებმა დაიმონეს — სპარსელებმა,  
ბერძნებმა და რომაელებმა“ (ლოპუხინის  
„ამნირთგბილი ბიბლია“).

„განაბაორცებითი ბიძლია ).  
აი, რა მკაცრად დაისაჯნენ ქანაანის  
შთამომავლები ქამის უგვანო  
საქციელისთვის და რა შორს გავრცელდა  
მისი სიცილის ექი! ასე რომ, არავინ იცის,  
რა სასჯელს მოიმკიან ქრისტიანულ საი-  
დუმლოთა გამშარებლები მეორედ მოს-  
ვლისას უკანასკნელ სამსჯავროზე. შესა-  
ძლოა, მათი ხვედრი ქანაანელთა მიწიერ  
სასჯელზე გაცილებით მძიმეც კი აღ-  
მოჩნდეს...





© 2019 მარტინ

## დოდო ყვავილაშვილი

— ლიოსათი დავინცოთ, რადგან ისაა  
ახლა მთავარი თემა, აკი სექტემბრისთვის  
სტუმრად ველოდებით. მითხარით,  
ემოციურად როგორი მოლოდინი გაქვთ,  
რას ელოდებით შეხვედრისგან?

— დიახ, მოგეხსენებათ, ბატონი მარი-  
ო ვარგას ლიონსა სექტემბერში გვეწვევა,  
რაც ძალიან სასიხარულო ფაქტია  
როგორც ჩემთვის, ასევე ლიტერატურით  
დაინტერესებული ყველა ადამიანისათვის  
საქართველოში. ამ მწერალზე, ცხადია,  
ბევრი რამ ვიცი (ახლა უკვე როგორც  
მთარგმნელმაც). მთარგმნელი ხომ ნაწარ-  
მოებზე მუშაობის პერიოდში ავტორის, ასე  
ვთქვათ, ტყავში უნდა შეძრეს, მისი აზრ-  
თა მდინარების სტილი გაითავისოს,  
თორებმ სხვაგვარად არაფერი გამოვა. ისიც  
კი შემიძლია გითხვათ, რომ მთარგმნელი  
ერთგვარად მწერალს თითქოს გარკვეუ-  
ლი პერიოდით უნათესავდება კიდეც, მისი  
ოჯახის წევრიც კი ხდება. ამ მხრივ ლიო-  
ნას ნაწარმოებებზე მუშაობა ადვილია,  
რადგან იგი იმ მწერალთა რიგს მიეკუთვნე-  
ბა, ვინც ინტერვიუსა არ ამადლის უურნალ-  
ისტებს, ვინც გარდა ესეებისა, უამრავ ინ-  
ტერვიუში გულწრფელად და ამომწურა-  
ვად გვიზიარებს თავის მოსაზრებებს, რაც  
მისი პიროვნების აღქმაში გვეხმარება. მა-  
გრამ ცხადია, მისი უშუალოდ გაცნობა  
უფრო მრავლისმომცემი და ემოციურად  
დატვირთული იქნება.


— სანამ ლიოსას წიგნზე მუშაობას შეუდგებოდით, მისი მკითხველი თუ იყავონ?

— დაიახ, რა თქმა უნდა. წაკითხული  
მქონდა მისი „ქალაქი და ძაღლები“, „დეი-  
და ხულია“, „ვაცის ნადიმი“ (ლანა კალან-  
დიას შესანიშნავი თარგმანი), წერილები  
ლიტერატურაზე, პიესები. რამდენიმე  
წლის წინ მისი პიესა „ქალიშვილი  
ტაკნადანაც“ კი ვთარგმნე. როგორც  
მკითხველი, ვაფასებ მის, ასე ვთქვათ,  
ემოციურ, ყოვლისმომცველ, შეიძლება  
ითქვას, ვნებიან დამოკიდებულებასაც კი  
ტექსტისადმი, ძლიერ მონასმებს, ძლიერ  
აკორდებს, არჩეული თემისადმი ეგრეთ  
წოდებულ ფუნდამენტურ დამოკიდებულე-  
ბას, როდესაც პერსონაჟისა თუ გარემოს  
აღნერისას ერთი განმარტებით, ერთი  
შტრიხით არასოდეს კამაყოფილდება. ცდი-  
ლობს, მკითხველს მაქსიმალურად სრული,  
ამომწურავი, ყოველმხრივი პორტრეტი,  
სურათი დაუხატოს. შესაძლოა, ჩემთვის,



მარიონ ვარგას ლიბრეტი

ბოლო ენაცი თან




ვთქვათ, „ახალი მესიისა“ და მისი მიმდევრების ცხოვრებასა და ახალი „სახარების“ შექმნის მცდელობას აღნიშეს; მეორე — საერო ცხოვრებას. კონფლიქტი იწყება მაშინ, როდესაც ეს ორი სამყარო გადაიკეთება. ცხადია, თხრობის მანერაც ამ ორი რომანისთვის სხვადასხვაგვარია და ასევე იცვლება იმის მიხედვით, თუ ვინ შეიჭრება მასში მეორე რომანიდან. ცხადია, მთარგმნელს, ამის გათვალისწინებაც სჭირდებოდა. როგორ მოვახერხე, მკითხველმა განსაჯოს.


— თქვენ, არა მხოლოდ როგორც პროფესიონალს, არამედ როგორც მწერალ ნუგზარ შატაიძის მეუღლლეს, ალბათ ძნელად თუ გაგაცურებთ რომელიმე ავტორი, თუნდაც ნობელიანტი — მის სანდოობას, გულწრფელობას უმალ შეაფახებთ.

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ბატონი  
ლიონსა უდაოდ მიმაჩინა თავისი დროის  
ერთ-ერთ საუკეთესო მწერლად, რომელიც  
აუცილებლად დარჩება მსოფლიო ლატერ-  
ატურის საგანძურში. მიუხედავად იმისა,  
რომ დიდ დროს უთმობს როგორც პოლი-  
ტიკას, ასევე ჟუბლიცისტიკას, ის, უპირვე-  
ლეს ყოვლისა, მწერალია, ბელეტრისტი, ამ  
სიტყვის ყველაზე ამაღლებული გაგებით.  
დღემდე გაოგნებული ვარ, რა ენერგიისა  
და ძალის პატრონი უნდა იყოს მწერალი,  
რომ ასე ცხოვლად წარმოიდგინოს ის, რისი  
მოწმეც თავად არ ყოფილა, როგორ უნდა  
მოახერხოს ამდენი გმირის პორტრეტი ისე  
დაგვისურათხატოს, რომ ლამის ხელშესახ-  
ები და დაუკინარები გახადოს ჩევნოთვის.  
იგი ნამდვილად მხატვრული სიტყვის ოს-  
ტატია, ამას ჩემი აზრი რად სჭირდება.

რაც შეეხება გულწრფელობას: რა თქმა უნდა, ხელოვნება ხელოვნურად შექმნილი რეალობაა, თუმცა ეს რეალობა ცარიელ ადგილზე არ იქმნება. ხელოვანს რეალურ ცხოვრებაში მიღებული გამოცდილება, ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები ეხმარება პერსონაჟების შექმნაში, ბუნებისა თუ სხვა მოვლენებისა აღნერაში. ეს უცნაური და ნამდვილად შემოქმედებითი პროცესია, როდესაც მწერლის ცოდნა, გამოცდილება, შთაბეჭდილებები ერთ ნარმოსახვით ქვაბში იყრება და შედეგად სრულიად სხვა, ნარმოსახვითი რეალობა იხარშება, სადაც ნამდვილი ადამიანების თვისებებით, თუნდაც სრულიად განსხვავებული ადამიანებისა, რომელიმე ერთი პერსონაჟი „ჯილდოვდება“, მაგრამ ამასთანავე, იმ პერსონაჟში „ჩადებული“ თვისებები ნამდვილი, დამაჯერებელი უნდა იყოს, გმირის ხასიათს არ უნდა ენიხიალდეგებოდეს. ამ შერივ მწერალი განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანისგან. იგი ყველაფერს უფრო თვალებგაფართოებული უყურებს, იმასხოვრებს. ერთმა ფრანგმა მწერალმა ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც აღნიშნა, ბოლომდე გულწრფელად პირად ტრაგედიასაც კი ვეღარ აღვიქვამ, რადგან ჩემდა უნებურად იმაზე მეფიქერება, ეს სიუჟეტი რაში გამომადგებაო. წერა, თავისთავად, ძალიან საინტერესო პროცესია. ქქონდა ბედნიერება, ოცდაექვსი წლის მანძილზე მეცურებინა, როგორ იძერნებოდნენ გმირები ჩემი მეუღლის ნაწარმობებები, როგორ იმოსებოდნენ ისინი ამა თუ იმ სრულიად განსხვავებული ადამიანების თვისებებით, როგორ აღმოჩნდომონი სრულია ანისხავაბულ გარება.





მონიკ



საქართველოს მთავრობის



სულიერის სახელი



— ნიგნის პრეზენტაცია შვიდ მარტს, „ლიგამუსში“ გაიმართა. იქ თქვენ და გიგა ზედანიამ ისაუბრეთ რომანის ისტორიულ კონტექსტებსა და პარალელურზე ღოჩიანაშვილის „სამოსელ პირველთან“. იქნებ მოკლედ გვითხრათ იმ პარალელების შესახებ პატ, „სამოსელთან“ რომ გაივლება.

მსოფლიმზე დგენერაცია ის ომი განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს. მართლაც მაგიასთან გვაქვს საქმე.

— **ახლა კორტასარზე ვისაუბროთ. რას ფიქრობთ მასზე, რეალობისა და ირეალურის მისეულ ზღვარზე, რა მდენად იოლად მიყავხართ იმ საზღვრამდე, რა მდენად ზემოქმედებს თქვენზე?**

— ხულიო კორტასარს რაც შეეხება, იგი უდიდეს მწერლად მიმაჩინა. რეალობისა და ირეალობის ზღვარი მართლაც რომ ნაძლილია მის მოთხრობებში და ისე გადაყავშართ ერთიდან მეორეში, რომ თავიდან ვერც კი ხვდებით. შეუძლია ერთ წინადადებაში გმირი ხან პირველი, ხან მესამე პირით მოიხსენიოს, დრო კი ხან ანტიო, ხან ნარსული, ხან მომავალი გამოყენოს. და ეს ყველაფერი ერთ წინადადებაში ხდება. ზემოქმედება უზარმაზარი აქვს, დამთრგუნველი, ყოვლისმომსვრელი, გამაოგნებელი სხვა რა გითხრათ?

— „**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ დიდი საჩუქარი გაუკეთა მკითხველს, როცა კორტასარის თოხტომეული გამოსცა. 82 მოთხრობა 4 ტომად თავად მწერალმა გადაანაწილა, შეადგინა და 4 ივე წიგნი დაასათაურა: „რიტუალები“, „თამაშები“, „გასასვლელები“, „იქ და ახლა“. თქვენ „თამაშები“ თარგმნეთ.**

— რა მდენადაც ვიცი, თავად ბატონი ბაკურ სულაკაური დიდი ხანი ოცნებობდა სულიო კორტასარის მოთხრობები სწორედ იმ შერჩევითა და თანამიმდევრობით გამოიცა, როგორც თავად მწერალმა შეადგინა ჩემის აზრით, ეს თოხტიგნეული მართლაც უდიდესი საჩუქარია მკითხველისთვის. მე რაც შემეხება, ჩემი თარგმანები ყველა ტომშია მიმოფანტული. მაგრამ მეოთხე ტომი თოქმის მთლიანად ვთარგმნე, ერთ მოთხრობის გამოკლებით. რა გითხრათ? ძალიან მძიმე სამუშაო იყო და სრულიად სხვა სიმძიმეც ახლდა. ჯერ უნდა თავად მივმხვდარიყავი, მწერალს რისი თქმა სურდა, რაც, დამერწმუნეთ, არც ისე ადვილი იყო. მას ხომ თავის ქვეყანაშიც საყვედურობდნენ ბუნდოვნების გამო. ერთ-ერთ მოთხრობაში თავადაც ათემევინებას ერთ-ერთ პერსონაჟს, მასავით მწერალს — საიქოს კართან წმინდა პეტრე რომ დამსვდება, ალბათ პირველს იმას მისაყვედურებს, შენს მკითხველებს ასე რატონი აწამებდიო. დიას, ჯერ კარგად უნდა ჩავწვდომოდი ნათქვამის არსს, შემდეგ ზუსტად მომექებნა ის ფორმა და სიტყვები რომლითაც მას გადმოცემდი, რადგან ოდნავი გადაცდომაც და აზრი დაიკარგებოდა. ახლა შინაარსი: მწერალი სულის ისეთ ძაფებს, გულის სიღრმეში საგულდაგულობრივი განცდებებსა და უნებლივ აზრებს ეხება, რომლებსაც ადამიანი საკუთარ თავსაც კი არ უმხელს. მასზე მუშაობისას ხშირად მომხდარა, რომ ბეჭდვა შემინვეულია და ჰაერზე გასცულგარ რადგან ვგრძნობდი, როგორ მინუხდებოდა გული მოქარებული ემოციებისგან მართლაც საოცარი მწერალია. მიყვარს და მეშინია მისი.

— **ლე კლეზიოს მთარგმნელიც პრძანდებით. მის კრებულზე „მონდო და სხვა მოთხრობები“ თქვენ და მანანა ცინცაძე იმუშავეთ. როგორ ითარგმნება ეს ავტორი? ლე კლეზიოსთვის ნობელის პრემიის გადაცემისას, მასზე ითქვა, რომ ახალი ლიტერატურული მიმართულების, პოეტური თავგადასავლებისა და გრძნობათა ექსტაზის ავტორია. თქვენც ასე აღიქვამთ მის ტექსტებს?**

— დიახ, ჩემს მეგობარ, მთარგმნელ  
მანანა ცინცაძესთან ერთად წილად შევდა  
ბედნიერება, კიდევ ერთი ნობელიინტი მნ-  
ერლის, უან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს  
ძალზე ცნობილი „მონდო და სხვა  
მოთხოვობები“ მეთარგმნა. მართლაც პოე-  
ტური პროზაა, ძალიან დახვეწილი, ფაქიზი.  
მნერალი ახერხებს სიტყვაუზობის ნაცვ-  
ლად სათქმელი სრულიად მოზომილი,  
ზოგჯერ გამაღიზიანებლად ძუნი ლექსი-  
კითაც კი გადმოსცეს. არაჩეულებრივი  
მნერალია, განსაკუთრებულად აუცილებე-  
ლი დღვევანდელ მსოფლიოში, სადაც მთა-  
ვარი ფასეულობები ლამის მივინყებულია,  
სადაც ყველაფერს მოგების წყურვოლი და  
ბრძოლის დაუკეტელი უინი მართავს. მი-  
მაჩინია, რომ ეს მოთხოვობები არა მხოლოდ  
ბავშვებმა, უფრო სესხმაც ხშირად უნდა  
იყითხონ. მისითარგმნისას სენტ-ეკზიუპერი  
მახსენდებოდა და ალბათ არც ეს იყო  
შემთხვევითი.

— თქვენი ბოლო თარგმანია ისაბეჭ  
ალიენდეს „სულეპის სახლი“, რომელიც  
ახლახან გამოვიდა.

— დიახ, ცოტა ხნის ნინ მაღაზიებში  
გამოჩენდა წარმოშმბით ჩილელი მწერალი  
ქალის, ისაბეჭ ალიენდეს ძალზე გახმაუ-  
რებულირომანი „სულების სახლი“, რომელ-  
მაც მწერალს დიდი აღიარება მოუტანა.  
რომანი უამრავ ენაზეა თარგმნილი და მის  
მიხედვით ფილმიც გადაიღეს ჰოლივუდის  
ვარსკვლავების მონაწილეობით, თუმცა,  
უნდა ითქვას, რომ როგორც ყოველთვის,  
ეკრანზეაციას რომანი სჯობს.

— ალიენდეს მოულილათინური ამერიკა იცნობს, როგორც ძალიან თამამ აკტორს. საინტერესოა, რამდენად განსხვავდებიან ლათინოამერიკელი მამაკაცი მწერლები ქალი ავტორებისგან და როგორი იყო სამუშაოდ ალიენდეს პირველი რომანი?

— ისაბელ ალიენდე მსოფლიოში ცნობილია არა მხოლოდ როგორც მწერალი, არამედ, როგორც ფემინისტი, ქალთა უფლებების დამცველი. მის რომანზე მუშაობა საჩუქარივიათ იყო ისეთი ავტორების შემდეგ, როგორებიც კორტასარი და

ლიონსა გახსლავთ. ამ ქალაბატონის პროზაც  
ლათინური ამერიკის მაგიური რეალიზმის  
ჟანრს მიეკუთვნება, შესანიშნავი რომანია,  
თან მსუბუქი, იუმორით სავსე, თან მძიმე,  
ტეკვილით გაჯერებული. მოკლედ, მისი  
თარგმნა მართლაც სიამოვნება იყო, ალ-  
ბათ იმიტომაც, რომ მცც ქალი ვარ. რაც  
უნდა თქვენ ფერმინისტებმა, მანც იგრძნო-  
ბა განსხვავება ქალ და მამაკაც მწერლებს  
შორის, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით  
ლათინური ამერიკის ლიტერატურის  
ფონზე, ასე მეჩვენება. სხვა ქალი მწერალი  
ჯერ არ მითარგმნია, ვნახოთ, მომავალი  
რას მოგვიტანს.

— ერთგან წავიკითხე, როგორ გიკითხავდათ ოქვენი მეუღლე ხმამაღლა თავის ნაწერებს და შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ დაძინება გიჭირდათ. ასეთი ემოციური მსმენელი და მკითხველი ხართ კარგი ლიტერატურისა? თუ ასეთი რეაქცია მის მოსმენას მოჰყვებოდა ხოლმე მხროდ?

დასარულებდა თუ არა, ოჯახის ხევრებს გვიყითხავდა-მეტეი. ქს ხშირად დამით ხდებოდა. ჩვენი ემოცია აინტერესებდა. თურ-მე პაპამისი, იღა ხიზამბარელი, ღვინის სიმაგრის გასინჯვა რომ უნდოდა, ერთ მო-მცროჭიერს ჯერ ცოლს შეასმევდა. თუ ქალი შეთვრებოდა, ძალა ჰქონიაო, იტყოდა. ალ-ბათ პაპამისის გამოკლილებაც ახსოვდა, ან სურდა მოთხოვბის დასარულების შვება ჩვენთვისაც გაეზიარებინა, თან მოესმინა, როგორ უდერდა წაკითხვისას. დიახ, დაძინება მართლაც მიჭირდა-ხოლმე და ხანდახან ვეხვენებოდი, ძალიან გთხოვ, ხვალ დილით მე თვითონ წავიკითხავ-მეთე-ქი. აბა, როგორია, როცა გიკითხავენ, ბრძო-ლაში დახოცილ ქართველ მეპრძოლებს გადარჩენილი მეგობრები ითხად როგორ ჭრიან, ამარილებენ და გუდებში აწყობენ, რომ ჭირისუფალთან მისვენებამდე არ აყ-როლდეს?! საერთოდ, ნუგზარს მკაცრი, ტრაგიკული პროზა აქვს, ზიზილ-პიპლე-ბი არ ახასიათებს. ემოციური ვარ, მაგრამ მისი მოთხოვბების კითხვას წაკლებ ემოციურებიც კი განსაკუთრებულად აღიქვამდ-ნენ ყოველთვის.

ესაუბრა თამარ ჭურული

